



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“

ქ. თბილისი

„ 09 “ „ 07 “ 2018.

ბრძანება № 10

მოსაკრებლის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ

"საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ " საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
 - A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი-200 ფურცლამდე .
 - პრინტერზე ამობეჭდილი ასლი-200 ფურცლამდე.
- ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში , სასახლეში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს -ნანა მახარაძეს (მისი არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, შვებულება)) შესაბამისი ბრძანებით მისი შემცვლელი) მიეცეს უფლებამოსილება საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, საკუთარი ინიციატივით ან ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

3. სასახლის მიერ გასაცემი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახაზინო კოდზე :
ბანკის კოდი-TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი-707577019
4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი დაინტერესებულ პირზე გაიცეს აღნიშნული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (შესაბამის წერილზე თანდართვით)
5. ბრზანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან

დირექტორი



ქ.ფეიქრიშვილი